საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2018 წლის 21 დეკემბერი
№01-05-04/354დადგენილებით

მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2021 წლის 26 ნოემბრის
№01-05-04/174 დადგენილებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ღონისძიების ორგანიზება

მისამართი: სტუ.თბილისი. კოსტავას ქ.№ 68. Iკორპუსი
პროგრამის ხელმძღვანელი: მზია მილაშვილი
m.milashvili@gtu.ge 555 518 000

თბილისი
2021

1. **ჩარჩოდო კუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურე ნაზე რომლის საფუძველზეც** დამუშავებულია **პროგრამა:** - საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება /Office Work and Event Managment
2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა:**-04119-3
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია :** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში / Secondary Vocational Qualification in Event Managment (კოდი 020370) აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს „მენეჯმენტი და ადმინისტრეირების". კოდი 0413.
4. **მიზანი:**

   პროფესიული პროგრამის მიზანია, ადგილობრივი შრომის ბაზრისთვის უზრუნველყოს ღონისძიების ორგანიზების სპეციალისტის მომზადება, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს, კოორდინირებასა და ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის ღონისძიების მომზადებასა და გამართვას. კერძოდ, სპეციალისტი შეძლებს ღონისძიების კონცეფციის მომზადებას, მის კოორდინირებასა და დაგეგმვას, საქმიანი წინადადების მომზადებას, ფინანსურ მართვასა და შეკვეთის გაფორმებას, გუნდურ მუშაობასა და ღონისძიებაში ჩართულ მხარეებთან ურთიერთობას, ღონისძიების ტექნიკური აღჭურვას, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მონიტორინს. პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტები დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
5. **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება
6. **დასაქმების შესაძლებლობები:**

ღონისძიების ორგანიზებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს: ქორწილების ორგანიზატორად, ასევე კონფერენციების და ღონისძიებების ორგანიზატორად სახელმწიფო და საჯარო სტრუქტურებში, სადღესასწაულო ცენტრებში, ტურისტულ და სხვა კერძო კომპანიებში, კულტურულ და სპორტულ ასოციაციებსა და ფედერაციებში, ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 82.3, 82.30, 82.30.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3341

7. **სტრუქტურა და მოდულები**

პროფესიული პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება" და ითვალისწინებს 5 ზოგად მოდულს - ჯამური 15 კრედიტის მოცულობით, ერთი საერთო პროფესიულ მოდულს - 5 კრედიტის მოცულობით. ღონისძიების ორგანიზების კვალიფიკაციის 12 პროფესიულ მოდულს - 41 კრედიტის მოცულობით. ღონისძიების ორგანიზების საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 61 კრედიტი.

პროგრამა ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკისა" და „პრაქტიკული პროექტის" მოდულებს. „გაცნობითი პრაქტიკის" მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ. „პრაქტიკული პროექტი" განსაზღვრავს

ინტეგრირებული დავალების ტიპს, რომლის შესრულებისას პროფესიული სტუდენტი სპეციალიზაციისთვის საჭირო უნარებს დაადასტურებს.

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის, პროგრამის სტრუქტურა მოიცავს მოდულებს: ქართული ენა A-2 და ქართული ენა B-1, 15-15კრედიტის ოდენობით, ჯამურად 30 კრედიტს.
მოდულის, ქართული ენა A-2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 61 კრედიტი
პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 41 კვირა
პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 91 კრედიტი
პროგრამის ხანგრძლივობა არაქარუთლენოვანი სტუდენტებისთვის - 63 კვირა

№	მოდულის დასახელება	
01	ქართული ენა A-2	15
02	ქართული ენა B-1	15
ჯამში		30
ღონისძიების ორგანიზება		
ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	უცხოური ენა (ინგლისური)	5
5	მეწარმეობა 2	2
ჯამში		15
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
6	წერილობით ტექსტთან მუშაობა	5
ჯამში		5
პროფესიული მოდულები - ღონისძიების ორგანიზება		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
7	გაცნობითი პრაქტიკა - ღონისძიების ორგანიზება	3
8	საქმიანი წინადადების მომზადება	4
9	ღონისძიების კონცეფციის შემუშავება	3
10	რესურსების მართვა	3
11	ღონისძიების გაფორმება და დიზაინი	4

12	ღონისძიებაში ჩართულ მხარეებთან ურთიერთობა	3
13	ღონისძიების კოორდინირება	4
14	ღონისძიების ფინანსური მართვა	3
15	ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება	3
16	პრაქტიკული პროექტი - სადღესასწაულო ღონისძიებების ადმინისტრირება	4
17	პრაქტიკული პროექტი - სპორტულ/სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა	4
18	პრაქტიკული პროექტი - ოფიციალური/საქმიანი შეხვედრების ადმინისტრირება	3
	ჯამში	41

8. **მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:**
   კურსდამთავრებულს შეუძლია:
1. დაგეგმოს სადღესასწაულო, სპორტულ/სანახაობრივ და ოფიციალურ/საქმიანი ღონისძიებები;
2. კოორდინირება გაუწიოს ღონისძიების მოსამზადებელ სამუშაოებს;
3. ურთიერთობა ჰქონდეს ღონისძიებაში ჩართულ მხარეებთან;
4. გაუკეთოს ორგანიზება ღონისძიების ტექნიკურ მომსახურებასა და უსაფრთხოებას;
5. გაუკეთოს ორგანიზება ქორწილს;
6. გააფორმოს ღონისძიებადა დიზაინი.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ჩარჩო დოკუმენტის „საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება (office work and event managment)“ საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“ (61 კრედიტი).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“ ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის (ქართული ენა) კომპეტენციის შეფასების მიდგომებს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანანმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა)*, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრეროგატივაა. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი:

-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ქ.თბილისი, კოსტავას ქ. 68 Iკორპუსი, ოთახი 616 და 556;

- შ.პ.ს. „კრწანისი“ ქ. თბილისი, გორგასალის ქ. 2

დანართი 1: პროგრამა ელექტრონული სახით (ძირითადი დოკუმენტი). სასწავლო გეგმა. მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თაობაზე (დანართი 1-ის შესაბამისად).
საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული გამოსაყენებელი მატერიალური/არამატერიალური რესურსის ჩამონათვალი; პრაქტიკის პარტნიორ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება.
დანართი 2: პროგრამის დამტკიცების აქტი;
დანართი 3: პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
დანართი 4: პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და თითოეულ პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება
დანართი 5: პროგრამის დამატების საფასურის გადახდის ქვითარი
დანართი 6: სხვა დანართები

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები — მზია მილაშვილი

სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი — ნათია ბუთხუზი

ფაკულტეტის დეკანი — ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან — დავით მახვილაძე

მიღებულია
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ოქმი № 13.
10.12.2018

მოდიფიცირებულია
სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ოქმი N9,
26. 10.2021 წ.

საბჭოს თავმჯდომარე — ოთარ გელაშვილი